სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86219140638214

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140251368

რეგისტრაციის თარიღი

19.03.2014 წ

ნოტარიუსი: მაგდა კოსტავა
მისამართი: ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია
ტელეფონი: +995 (595) 515 555

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ცხრამეტ მარტს მე, ნოტარიუსს მაგდა კოსტავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია, მომმართა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე სალიჰ სელმან აპაიდინმა, როგორც **შპს „ფერმო ფენსი“-ს** (ს/კ 404856107) დამფუძნებელმა/დირექტორმა, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის № B12066267, მომზადების თარიღი: 22/05/2012, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

ვინაიდან მიმნდობი არ ფლობს ქართულ ენას, მან წარმოადგინა ინგლისური ენის თარჯიმანი **თინათინ ტაბატაძე** (პ/ნ 60003012263)

მე გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარჯიმანმა დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სისწორეს, რის შემდეგაც მიიღო მონაწილეობა სანოტარო აქტის შედგენაში.

მე შევამოწმე მიმნდობის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ბინადრობის მოწმობით დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე **სალიჰ სელმან აპაიდინმა** (დაბ. 12/03/1985 წელს თურქეთში, პ/ნ 01495000263, ბინადრობის მოწმობის/ნ 11TR06781, გაც: 11/07/2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ. საქართველოში: ქ. თბილისი კ.სტანისლავსკის ქ. N 5) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც თარჯიმანმა გადაუთარგმნა მას ინგლისურ ენაზე. მან მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **სალიჰ სელმან აპაიდინმა** (დაბ. 12/03/1985 წელს თურქეთში, პ/ნ 01495000263, ბინადრობის მოწმობის/ნ 11TR06781, გაც: 11/07/2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ. საქართველოში: ქ. თბილისი კ.სტანისლავსკის ქ. N 5), როგორც **შპს „ფერმო ფენსი“-ს (ს/კ 404856107)** დამფუძნებელმა/დირექტორმა ამ მინდობილობით **ტარას ხიჯაკაძეს** (დაბ: 29.11.1964 წელს, პ/ნ 54001053882, მცხ: ჭიათურა სტალინის ქ. N 69) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ტარასი ხიჯაკაძე უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში, საკრებულოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში, შეიტანოს საზოგადოების სახელით განცხადებები, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, დოკუმენტი, ამონაწერი, მოწმობა, ასლი, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეათანხმოს ნაგებობის პროექტის შემუშავება, დამტკიცება, აიღოს ნებართვა მაგისტრალიდან სამშენებლო ობიექტამდე მისასვლელი ორი საავტომობილო გზის გაყვანაზე, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, აწარმოოს ანგარიშსწორებები ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა მოქმედება და ფორმალობა წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 6 (ექვსი) თვის ვადით გადანდობის უფლების გარეშე და შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მაგდა კოსტავას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

ამ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ჩემს სანოტარო ბიუროში თან ერთვის:
ნაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ნცხადების რეგისტრაციის № B12066267, მომზადების თარიღი: 22/05/2012.

№507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის სანოტარო მომსახურების საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის თანახმად გადახდილია 10.00 ლარი, აგრეთვე 2.00 ლარი (დღგ ჩათვლით), თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლის I პუნქტისა, აგრეთვე 1.80 ლარი თანახმად საქართველოს სანოტარო კოდექსის 169-ე მუხლისა.
სულ გადახდილია 13.80 ლარი.

მიმნდობი პირი:
შპს „ფერმო ფენსი“ (ს/კ 404856107)
დამფუძნებელი/დირექტორი
სალიჰ სელმან აბაიდინ Salih Selman Abaydın

თარჯიმანი:
თინათინ ტაბატაძე

ნოტარიუსი:
მაგდა კოსტავა

ნოტარიუსი მაგდა კოსტავა
U10080001365
NOTARY MAGDA KOSTAVA

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

გაცნობის თარიღი

07.05.2014

გაცემის თარიღი

07.05.2014

განხილვის საგანი : სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა

დაინტერესებული პირი : ტარასი ხიჯაკაძე 54001053882

წარმოების საფუძველი : განცხადება №: QN1207600

გასაჩივრების წესი : გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მერთან (მისამართი: თბილისი. ჟ.შარტავას №7)

აქტის მოქმედების ვადა : აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1207600

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა ნაკვეთი #01.72.14.006.278-ს მიმდებარედ, ნაკვეთში მანქანის შესასვლელი და გამოსასვლელი გზის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, #1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ქ.თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2014 წლის 30 აპრილის №12/14114854-25 წერილის პირობების დაცვით და ქ.თბილისის საპატრულო პოლიციის 2014 წლის 1 მაისის №20/8–823804 წერილით დადგენილი პირობების და სქემების შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

საფუძველი:

"ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 16.02.11წ. №03.31.100 დადგენილება, ,,ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აქტის გამოცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის №05.44.204 დადგენილება; "ქალაქ თბილისის მერის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქ.თბილისის მთავრობის №17.19.830. დადგენილება

თბილისი შარტავას ქუჩა №7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge